GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებებში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკური მეცნიერებების ბაკალავრი/BA in Political Sciences

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა, როგორც ზოგადად პოლიტიკურ მეცნიერებებში, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა მსოფლიო ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, პოლიტიკური აზროვნების ისტორიის და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებების და ადამიანთა უფლებების ძირითადიპრინციპების შესახებ;
- ფართო ცოდნა ინდივიდის როლის, პასუხისმგებლობის და საზოგადოებაში მისი უფლებების შესახებ.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე,რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, უცხო ენად აქვს ჩაბარებული ინგლისური ენა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს პოლიტიკური მეცნიერებების ცნებებს და მეთოდოლოგიას. ბაკალავრი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კონკრეტულ სფეროში არსებული თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და აცნობიერებს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

ბაკალავრი საფუძვლიანად იცნობს მოცემულ სფეროს, რომელიც მოიცავს შესაბამისი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ბაკალავრი იცნობს დარგის განვითარების ისტორიას კლასიკური ნაშრომების შესწავლის საფუძველზე, ერკვევა პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულებებში; ახასიათებს ამ მიმართულებებს და განსაზღვრავს რელევანტურ ამოცანებს; იცნობს პოლიტიკურ მეცნიერებათა ძირითად ცნებებს და თეორიულ მიდგომებს, პარადიგმებს, კონცეფციებს და მოდელებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე, ბაკალავრი ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს. ბაკალავრი, კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, პოულობს ადეკვატურ და ეფექტურ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად; ბაკალავრი იყენებს სფეროსთვის დამახასიათებელ მეთოდს პრობლემების გადასაჭრელად; ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

ბაკალავრს აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი. ბაკალავრი გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტის სხვადასხვა კომპონენტებს. ბაკალავრი იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

დასკვნის უნარი:

ბაკალავრი ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, პოულობს პრობლების გადაწყვეტის გზას და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას. მოძიებული მასალის საფუძველზე, ერთი და იგივე მოვლენას თუ კონცეფციას აანალიზებს სხვადასხვა კუთხით და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები.
შეიმუშავებს საკუთარ განსხვავებულ შეხედულებას და ლოგიკურად იცავს მას. განსაზღვრავს სხვადასხვა პოლიტიკური თეორიების დადებით და უარყოფით მხარეებს;მდამაჯერებლად ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს; ადეკვატურად აღიქვამს და აანალიზებს საზოგადოებრივ პროცესებს;

კომუნიკაციის უნარი:

ბაკალავრი წერილობითი და ზეპირი ფორმით (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) გადმოსცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს. ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს. ბაკალავრი ამზადებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალურ წერილობითი ანგარიშს. გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

ბაკალავრი მეტყველებს და წერს გამართულად. ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს არჩეული მიმართულების თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

სწავლის უნარი:

ბაკალავრი სწავლას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

ბაკალავრი მრავალმხრივად და ადეკვატურად აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; ბაკალავრი მუდმივად ანახლებს საკუთარ ცოდნას და ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ.

ღირებულებები:

ბაკალავრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემა. ადეკვატურად აფასებს სხვათა ღირებულებებს. აღიარებს და პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, აქვს სოციალური პასუხისმგებლობა და მოქმედებს სამოქალაქო თვითშეგნებით.

ბაკალავრი კარგად ერკვევა და იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.ბაკალავრი იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს, მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება,

პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი არის 40%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.

საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:
A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა იძლევა თეორიულ ცოდნას ისევე, როგორც პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენ-ციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:
ზაზა აბაშიძე
მობ: (995 599)392428
e-Mail: z.abashidze@gipa.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:
ლევან დოლიძე
მობ: (995 577) 443272
e-Mail: l.dolidze@gipa.ge
გორგასლის ქ. #101
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი								საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			სავალდებულო ზოგადი საგნები	**26**	**24**								
1.	SSakw 103	არ გააჩნია	აკადემიური წერა	4/100								32	68
2.	SSsam 104	არ გააჩნია	სამართლის საფუძვლები	6/150								42	108
3.	SSdwg 105	არ გააჩნია	დიადი წიგნები	6/150								42	108
4.	SSkal 002	არ გააჩნია	კალკულუსი	4/100								32	68
5.	SSistm 108	არ გააჩნია	ისტორიული მოვლენები	6/150								32	118
6.	SSfsik 111	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები		6/150							42	108
7.	SSekos 112	SSkal 002	ეკონომიკის შესავალი		6/150							42	108
8.	SSfils 113	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		6/150							42	108
9.	SSsocs 114	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში		6/150							42	108
			ინგლისური ენის კომპონენტი[5]	**5**	**5**	**5**							

[5] ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 15 კრედიტის მოცულობით, 3 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩაბარა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 15 კრედიტის დაგროვება სასწავლო კურსების: ინგლისური ენა 1-ის, ინგლისური ენა 2-ის, ინგლისური ენა 3-ის ხარჯზე. პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა, ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 15 კრედიტის დაგროვება სასწავლო კურსების: ინგლისური ენა 4-ის, ინგლისური ენა 5-ის, ინგლისური ენა 6-ის ხარჯზე. პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) თავისუფლდება ინგლისური ენის კომპონენტიდან. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
1.	SSeng 100	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1/ინგლისური ენა 4	5/125								48	77
2.	SSeng 101	SSeng 100	ინგლისური ენა 2/ინგლისური ენა 5		5/125							48	77
3.	SSeng 102	SSeng 101	ინგლისური ენა 3			5/125						48	77
			სპეციალობის სავალდებულო საგნები			**21**	**24**	**27**	**23**	**22**	**12**		
1.	SSmmft 201	არ გააჩნია	მმართველობის ფორმები და თეორიები			5/125						32	93
2.	SSsmow 204	არ გააჩნია	საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული განვითარება			6/150						32	118
3.	SSpteo 300	SSfils 113	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 1			4/100						32	68
4.	SSspoli 301	არ გააჩნია	საქართველოს პოლიტიკა და მმართველობა			6/150						42	108
5.	SSpsoc 302	არ გააჩნია	პოლიტიკური სოციოლოგია				4/100					32	68
6.	SSsadm 303	არ გააჩნია	სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება				6/150					42	108
7.	SSpteo 304	SSpteo 300 SSfils 113	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 2				4/100					32	68
8.	SSsjpol 219	არ გააჩნია	საჯარო პოლიტიკის შესავალი				5/125					42	83
9.	SSpre 011	არ გააჩნია	პრეზენტაციის უნარები				5/125					32	93
10.	SSspsur 305	SSistm 108	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში					5/125				32	93
11.	SSpoldz 211	SSsjpol 219	პოლიტიკა, ძალაუფლება და მართვა					6/150				32	118

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
12.	SSkvlst 200	SSkal 002	კვლევის მეთოდები, სტატისტიკა					6/150				42	108
13.	SSgarm 306	არ გააჩნია	გარდამავალი მმართველობა					4/100				32	68
14.	SSspol 307	SSsocs 114	სოციალური პოლიტიკა					6/150				32	118
15.	SSsamet 309	SSsam 104	სამართალი, მართლმსაჯულება, ეთიკა						6/150			42	108
16.	SSkonf 214	SSspsur 305	შესავალი კონფლიქტოლოგიაში						6/150			32	118
17.	SSglob 310	არ გააჩნია	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია						6/150			42	108
18.	SSpidea 311	SSpteo300 ; SSpteo 304	პოლიტიკური იდეოლოგიები						5/125			32	93
19.	SSpolp 527	SSfsik 111	პოლიტიკური ფსიქოლოგია							6/150		48	102
20.	SSeurop 314	არ გააჩნია	ევროკავშირის პოლიტიკა							5/125		32	93
21.	SSarchs 214	არ გააჩნია	პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემები							5/125		32	93
22.	SSruss 316	არ გააჩნია	რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე							6/150		32	118
23.	SSusp 313	SSistm 108	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა								6/150	45	105
24.	SSagmos 315	არ გააჩნია	ახალო აღმოსავლეთის პოლიტიკა								6/150	32	118
25.	SSpoproj 317	230 კრედიტი	დასკვნითი სასწავლო პროექტი								10/250	64	186
			არჩევითი საგნები			**6**	**6**	**6**	**6**	**6**	**6**		

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
1.	SShpsy 506	SSfsik 111	ფსიქოლოგიის ისტორია			6/150						48	102
2.	SSekist 403	SSkal 002 SSekos 112	ეკონომიკური ისტორია			6/150						32	118
3.	SSbizn 405	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები				6/150					42	108
4.	SSmst 606	არ გააჩნია	მოდერნული სოციოლოგიის თეორიები				6/150					48	102
5.	SSsajec 411	SSekos 112	საჯარო სექტორის ეკონომიკა					6/150				42	108
6.	SSmst 610	არ გააჩნია	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები					6/150				48	102
7.	SSfin 413	SSkal 002	ფინანსების მართვა						6/150			42	108
8.	SSorgps 525	არ გააჩნია	ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია						6/150			48	102
9.	SSpoltq308	არ გააჩნია	პოლიტიკური ტექნოლოგიები, საზოგ. აზრის ფორმირების ტექნიკა							6/150		42	108
10.	SSexistps 615	SSfsik 111	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია							6/150		42	108
11.	SSganvek 421	არ გააჩნია	განვითარების ეკონომიკა							6/150		32	118
12.	SSpsant 514	SSfsik 111	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია								6/150	32	118
13.	BIR840	SSspsur 305	საერთაშორისო ორგანიზაციები								6/150	45	105
სემესტრში				**31**	**29**	**32**	**30**	**33**	**29**	**28**	**28**		
წელიწადში				**60**		**62**		**62**		**56**			

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სავალდებულო ზოგადი საგნები						
1.	SSakw 013	აკადემიური წერა	X	X	X		X	X
2.	SSsam 104	სამართლის საფუძვლები	X	X			X	
3.	SSdwg 105	დიადი წიგნები	X	X	X		X	X
4.	SSkal 002	კალკულუსი	X	X	X		X	
5.	SSistm 108	ისტორიული მოვლენები	X	X	X			X
6.	SSfsik 111	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X			X
7.	SSekos 112	ეკონომიკის შესავალი	X	X	X	X		X
8.	SSfils 113	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში	X	X	X	X		X
9.	SSsocs 114	შესავალი სოციოლოგიაში	X	X				X
		ინგლისური ენის საგნები						
1.	SSeng100	ინგლისური ენა 1	X	X		X	X	

2.	SSeng101	ინგლისური ენა 2	X	X		X	X	
3.	SSeng102	ინგლისური ენა 3	X	X		X	X	
	SSeng115	ინგლისური ენა 4	X	X		X	X	
	SSeng116	ინგლისური ენა 5	X	X		X	X	
		სპეციალობის სავალდებულო საგნები						
1.	SSmmft 201	მმართველობის ფორმები და თეორიები	X	X		X		
2.	SSsmow 204	საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული განვითარება	X	X	X	X	X	X
3.	SSpteo 300	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 1	X	X	X	X	X	X
4.	SSspoli 301	საქართველოს პოლიტიკა და მმართველობა	X	X	X			X
5.	SSpsoc 302	პოლიტიკური სოციოლოგია	X	X		X		X
6.	SSsadm 303	სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება	X	X	X			X
7.	SSpteo 304	პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 2	X	X	X	X	X	X
8.	SSsjpol 219	საჯარო პოლიტიკის შესავალი	X		X	X		X
9.	SSpre 011	პრეზენტაციის უნარები	X	X		X		
10.	SSspsur 305	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში	X	X	X			X
11.	SSpoldz 211	პოლიტიკა, ძალაუფლება და მართვა	X	X		X		
12.	SSkvlst 200	კვლევის მეთოდები; სტატისტიკა	X		X			X
13.	SSgarm 306	გარდამავალი მმართველობა	X	X			X	X
14.	SSspol 307	სოციალური პოლიტიკა	X		X		X	
15.	SSsamet 309	სამართალი, მართლმსაჯულება, ეთიკა	X	X				X
16.	SSkonf 214	შესავალი კონფლიქტოლოგიაში	X	X	X			X
17.	SSarchs 214	პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემები	X	X		X		
18.	SSglob 310	გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია	X	X	X	X	X	X
19.	SSpidea 311	პოლიტიკური იდეოლოგიები	X	X	X		X	
20.	SSpolp 527	პოლიტიკური ფსიქოლოგია	X		X			X
21.	SSusp 313	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	X	X	X	X	X	
22.	SSeurop 314	ევროკავშირის პოლიტიკა	X	X	X			
23.	SSagmos 315	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა	X	X	X	X		X
24.	SSruss 316	რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე	X	X	X	X	X	X

25.	SSpoproj 317	დასკვნითი სასწავლო პროექტი	X	X	X	X	X	X
		არჩევითი საგნები						
1.	SShpsy 506	ფსიქოლოგიის ისტორია	X	X			X	X
2.	SSekist 403	ეკონომიკური ისტორია	X	X	X	X		X
3.	SSmst 606	მოდერნული სოციოლოგიის თეორიები	X	X	X			X
4.	SSbizn 405	ბიზნესის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
5.	SSsajec 411	საჯარო სექტორის ეკონომიკა	X	X	X	X	X	X
6.	SSmst 610	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები	X	X				X
7.	SSfin 413	ფინანსების მართვა	X	X	X	X	X	X
8.	SSorgps525	ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია	X	X	X			X
9.	SSpoltq308	პოლიტიკური ტექნოლოგიები/საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტექნიკა	X	X			X	
10.	SSexistps 615	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია	X		X			X
11.	SSganvek 421	განვითარების ეკონომიკა	X	X	X			
12.	SSpsant 514	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია	X	X		X		
13.	BIR 840	საერთაშორისო ორგანიზაციები	X	X	X	X	X	X

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ზაზა აბაშიძე			
თანამდებობა	პოლიტიკურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599 392 428	ელ-ფოსტა:	z.abashidze@gipa.ge

დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	'სერგი გორგაძე- საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი' საქართველოს ძველი ისტორია საქართველოს საეკლესიო ისტორია ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები
პუბლიკაციები	• Annotierte Bibliograghie der Hauptquillen und Literatur der georgischen Geschichte, ჟურნ. Georgica, Hef[t] 5, lena-Tbilisi, 1982, გვ. 98-106 (თანაავტორი მ. სანაძე). • ერთი ეპიზოდი ქუთაისის ეპარქიის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 266, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1986, გვ.80-84. • სერგი გორგაძე ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის შესახებ, თბ., 1997. • სერგი გორგაძე ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV-V სს.), თბ., 1997. • მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები სერგი გორგაძისადმი (პუბლიკაცია) „საისტორიო მოამბე“ NN 55-56, თბ., 1997, გვ. 355-370. • საგურამოს ისტორიიდან, კრებულში „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“ , ნაკვ. V, თბ., 1998, გვ. 41-51. • ქართლის (მცხეთის) ეპისკოპოსები და კათოლიკოსები, კრებ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარები, თბ., 2000,გვ.10-42. • ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, კრებ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 42-78. • XIII-XIV საუკუნეების მატიანე, წიგნში „ნათელი ქრისტესი - საქართველო“, წიგნი I, თბ., 2003, გვ. 331-361 (თანაავტორები დ.ნინიძე, გ.ჯოხაძე). • XIX საუკუნის მატიანე, წიგნში „ნათელი ქრისტესი - საქართველო“, წიგნი I, თბ., 2003, გვ. 422-431. • К истории упразднения Грузинской Церковной автокефалии и образования Грузинского Экзархата РПЦ, კრებულში: Материалы XV ежегодной Богословской конференции Православного Свято-Тихоновского Гуманитарного Университета (ПСТГУ) М., 2005, გვ. 245-255. • A general survey of the history of Georgia, წიგნში Witness through troubled times (A history of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present), London, 2006, გვ. 17-104. • Abolition of autocephaly and formation of the exarchate, 1801-1840 s, წიგნში Witness through troubled times (A history of the Orthodox Church of Georgia, 1811 to the Present), London, 2006, გვ. 107-134. • К определению статуса Церкви Картли в V в., კრებულში: Материалы XVI ежегодной Богословской конференции ПСТГУ, М., 2006, გვ. 238-241. • К вопросу датировки христианизации Картли, კრებულში: Материалы XVII ежегодной Богословской конференции ПСТГУ, М., 2007, გვ. 342-345. • საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნეში (ფრანგ. ენაზე, პარიზი, 2009, გვ. 385-405) კრებულში: L' Eglise ortodoxe en Europe orientale au XX [e] siecle, Sous la direction de Christine Chaillot, Paris, 2009. • ქართლის გაქრისტიანების ქრონოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ხანძთა“ N2 (7), ქუთაისი, 2009, გვ.54-66. • ღვაწლმოსილი (სერგი გორგაძის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2009 (გამომცემლობა „ნეკერი“). • საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისტორიოგრაფია, წიგნში: „საქართველოს ისტორიის კათედრა, 1918-2005“ თბ., 2010,

	გვ. 209-215. • Диархия Давида Строителя, Тб., 2010 (გამომცემლობა „ნეკერი“). • საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან (XIX ს-ის პირველი ნახევარი), კრებული რელიგიის ისტორიის საკითხები, I (თანაავტორი მ. თადუმაძე). 2009. • Церковная политика Давида IV (Строителя), კრებული Материалы XX ежегодной Богословской конференции ПСТГУ. 2010 2000-2010 წლებში მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში (Православная Энциклопедия) გამოქვეყნებული სტატიები: • კიდევ ერთხელ მწიგნობრთუხუცეს - ჭყონდიდელის სახელოს შესახებ. ჟურნ: რელიგიის ისტორიის საკითხები II ტ., თბ., 2013 წელი • სერგი გორგაძე თხზულებანი I ტ., რედაქტორი, წინასიტყვაობის და შესავლის ავტორი. თბ., 2017, გვ.153. **ტ. I**, M., 2000, გვ. 67-72. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსო (თანაავტორი თ. ქორიძე). აბრამი, მთავარეპისკოპოსი, გვ. 157. აბრამი I, კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 158. აბრამი II, კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 158. აგარაკ-წალკის ეპარქია, გვ. 233. ალავერდის სავიკარიო, გვ. 436. ალექსანდრე (ოქროპირიძე), გვ. 497-498. **ტ. II . 2001** ამბროსი (ხელაია), კათოკიკოს-პატრიარქი, გვ. 139-140. ანანია, მთავარეპისკოპოსი, გვ. 222-223. ანტონ II, გვ.658-659. **ტ. III. 2001** არსენ II, კათოლიკოსი, გვ. 420. არსენ III, კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 420-421. არსენ IV, კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 421. **ტ. IV**. ახალციხის ეპარქია, გვ. 197, ბათუმისა და სხალთის ეპარქია (თანაავტორი ნ.კრაშენინიკოვა), გვ. 381-383, ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, გვ.383. **ტ. VI. 2003.** ბართლომე, კათოლიკოსი, გვ.712. **ტ. VII. 2004**. ბასილი IV , კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 100. ბასილ V, კათოლიკოს-პატრიარქი. გვ.100 **ტ. X. 2005.** გაბრიელ I, კათოლიკოსი, გვ. 232. გაბრიელ II, კათოლიკოსი, გვ. 232. გაბრიელ III, (ტაოელი) კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 232. **ტ. XI. 2006.** გიორგი I, კათოლიკოსი, გვ. 42. გიორგი III კათოლიკოსი, გვ. 42. გიორგი IV კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 42-43. გიორგი V კათოლიკოს-პატრიარქი, გვ. 43. **ტ. XII. 2006.** გრიგოლ II კათოლიკოსი, გვ. 610. გრიგოლ III კათოლიკოსი, გვ. 610.

	ტ. XIII. 2006. სტატიაში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“, პარაგრაფები: საქართველოს ეკლესია XV საუკუნეში. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამოყოფა (გვ. 212-213); აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია XVI საუკუნეში. ქართველ მეფეთა პოლიტიკა წმ. მიწაზე (გვ. 213-214); აღმ. საქართველოს ეკლესია XVII საუკუნეში (გვ. 214-216); აღმ. საქართველოს ეკესია XVIII საუკუნეში (გვ. 216-218). სტატია რუსეთის ეკლესიის საქართველოს საეგზარქოსო (თანაავტორები - ე.ბუბულაშვილი, ნ.კრაშენინიკოვა, ქ.პავლიაშვილი), გვ. 321-351. კათოლიკოს-პატრიარქები - დავით II, დავით III, დავით IV, დავით V (გვ.571-572). **ტ. XV. 2007.** დიმიტრი ყიფიანი, გვ.58-59. **ტ. XVII. 2008.** ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), გვ.403-405. **ტ. XXI. 2009.** იერემია მთავარეპისკოპოსი, გვ.287. იზიდ ბოზიდი, კათოლიკოსი, გვ. 587. **ტ. XXII. 2010.** ილარიონი, კათოლიკოსი, გვ. 126-127. ილია (ელია), მთავარ-ეპისკოპოსი, გვ. 292.

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ლევან დოლიძე			
თანამდებობა	პოლიტიკურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	595 532 244	ელ-ფოსტა:	l.dolidze@gipa.ge

დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები

Institution [Date from – Date to]	Degree(s) or Diploma(s) obtained
Tbilisi State University, Department of International Law and International Relations [1997-2002]	Diploma of Lawyer (equivalent to LLM) , with specialization of International Law
Geneva Center for Security Policy/ the European Institute of Geneva University [2008 – 2009]	Master of Advanced Studies in International and European Security
Central Asia Caucasus Institute at John Hopkins University, The Rumsfeld Foundation [2011]	Central Asia – Caucasus Fellowship Program

პუბლიკაციები	• UNHCR BO Tbilisi and United Nations Association Georgia – Protection of refugees: International and National Mechanisms, 11/2001 • Institute of State Law of The Georgian Academy of Sciences – Trainings program on Drafting Legal Acts, 01/2002 • Transnational Crime and Corruption Center – Annual Summer School, 07/2003 • Faculty of the Office of Technical Assistance, United States Department of Treasury – Financial Crimes and Money Laundering Seminar, 06/2004 • Center for European Security – The Winter Academy 2006 – "Today's NATO-Russia Council Facing Tomorrow's Threat", 2006

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	• ინგლისური ენა 1 • ინგლისური ენა 2
2.	ჯეფრი მორსკი	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა 3 • ინგლისური ენა 4 • ინგლისური ენა 5
3.	თინათინ ქავთარაძე	მოწვეული ლექტორი	• აკადემიური წერა
4.	ლევან კოკაია	მოწვეული ლექტორი	• სამართლის საფუძვლები
5.	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	• დიადი წიგნები •
6.	გიორგი კობახიძე	მოწვეული ლექტორი	• კალკულუსი
7.	ზაზა აბაშიძე	პროფესორი	• ისტორიული მოვლენები
8.	ირაკლი იმედაძე	მოწვეული ლექტორი	• ფსიქოლოგიის საფუძვლები • ფსიქოლოგიის ისტორია
9.	მერაბ კაკულია	პროფესორი	• ეკონომიკის შესავალი • ეკონომიკური ისტორია

10.	ვახტანგ ლომჯარია	ასისტენტი	• ეკონომიკის შესავალი
11.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში • პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 1 • პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია 2 • პოლიტიკური სოციოლოგია
12.	თეონა მატარაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი სოციოლოგიაში • მოდერნული სოციოლოგიის თეორიები
13.	გიორგი მჟავანაძე	მოწვეული ლექტორი	• პრეზენტაციის უნარები
14.	გიორგი შუბითიძე	ასისტენტი	• შესავალი სოციოლოგიაში
15.	გიორგი კობერიძე	მოწვეული ლექტორი	• მმართველობის ფორმები და თეორიები • პოლიტიკური იდეოლოგიები
16.	ნინო ჩარექიშვილი	პროფესორი	• საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული განვითარება
17.	გაიოზ ჯაფარიძე	მოწვეული ლექტორი	• საქართველოს პოლიტიკა და მმართველობა
18.	ოთარ ქოჩორაძე	მოწვეული ლექტორი	• სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება
19.	ელისაბედ სოფრომაძე	ასისტენტი	• სახელმწიფო მოწყობა, ადმინისტრირება
20.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	• შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში
21.	ვანო ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	• სამართალი მართლმსაჯულება, ეთიკა
22.	ლევან დოლიძე	ასოცირებული პროფესორი	• პოლიტიკა, ძალაუფლება და მართვა
23.	მაკა სეხნიაშვილი	ასისტენტ პროფესორი	• კვლევის მეთოდები; სტატისტიკა
24.	ჟანა ანთია	ასისტენტი	• კვლევის მეთოდები; სტატისტიკა
25.	ალექსანდრე ჭკუასელი	ასოცირებული პროფესორი	• გარდამავალი მმართველობა

26.	ანა დიაკონიძე	ასისტენტ პროფესორი	• სოციალური პოლიტიკა
27.	ზურაბ აგლაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი კონფლიქტოლოგიაში
28.	კახი ქენქაძე	მოწვეული ლექტორი	• აშშ საგარეო პოლიტიკა
29.	ქეთევან მაისურაძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემები
30.	გიორგი ხომერიკი	მოწვეული ლექტორი	• გეოპოლიტიკა და გლობალიზაცია
31.	რამაზ საყვარელიძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური ფსიქოლოგია
32.	ივანე ჩხიკვაძე	მოწვეული ლექტორი	• ევროკავშირის პოლიტიკა
33.	ლევან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	• ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა
34.	ანა წურწუმია-ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	• რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე
35.	გიორგი თურქია	პროფესორი	• ბიზნესის საფუძვლები • ფინანსების მართვა
36.	დავით ჩარკვიანი	მოწვეული ლექტორი	• ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია
37.	თამარ ქაფიანიძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური ტექნოლოგიები, საზოგ. აზრის ფორმირების ტექნიკა
38.	მზეანა გომელაური	პროფესორი	• ეგზისტენციალური ფსიქოლოგია
39.	ნანა ადეიშვილი	ასოცირებული პროფესორი	• განვითარების ეკონომიკა
40.	ლევან მაჭავარიანი	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო ორგანიზაციები
41.	ლელა ბახტაძე	მოწვეული ლექტორი	• საჯარო სექტორის ეკონომიკა
42.	ხატია ნადარაია	მოწვეული ლექტორი	• თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები